ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ხუთშაბათი, 10 დეკემბერი, 2015 | №290 (6910) | ფასი: 50 თეთრი

ევროპის ლიგის ცხელი დღე

სტატისტიკა, ფსონები

ფენერბახჩე-სელტიკი	1.36	4.5	10.0	სტ.ეტიენი-ლაციო	2.25	3.2	3.0
აიაქსი-მიოლდე	1.36	5.0	8.0	დნიპრო-რუსენბორგი	1.75	3.5	5.0
ბორდო-რუბინი	2.5	3.0	2.8	შკენდერბიუ-ლოკომოტივი	11.0	6.0	1.25
სიონი-ლივერპული	3.2	3.0	2.25	სპორტინგი-ბეშიქთაში	1.83	3.5	4.33
დორტმუნდი-პაოკი	1.2	6.0	15.0	ფიორენტინა-ბელენენსეში	1.25	5.0	17.0
გაბალა-კრასნოდარი	4.33	3.5	1.83	ლეხი-ბაზელი	2.5	3.3	2.8
მიდტიულანდი-ბრიუგე	2.8	3.3	2.5	ტოტენჰემი-მონაკო	2.2	3.3	3.3
ნაპოლი-ლეგია	1.5	4.4	6.0	ანდერლეხტი-ყარაბახი	1.44	4.0	8.5
პლზენი-ვილიარეალი	2.87	3.4	2.25	აპოელი-სპარტა	3.75	3.2	2.1
რაპიდი-დინამო (მნ)	1.36	4.6	8.0	ასტერასი-შალკე	4.0	3.5	1.91
ლიბერეცი-მარსელი	3.8	3.4	2.0	ბილბაო-ალკმაარი	1.4	4.5	8.0
გრონინგენი-ბრაგა	3.25	3.5	2.15	პარტიზანი-აუგსბურგი	3.75	3.4	2.0

„რადარებიდან ვერ გაგვაქრობენ“

„იმის გამო, რომ ხელისუფლებამ რაღაც ჩანაწერები მოგვასმენინა, ერთმანეთს მტრებად არ მოვეკიდებით“

გვ.2

გიგი წერეთელი: „რესპუბლიკელებმა „ქართული ოცნება“ უნდა დატოვონ“

ალეკო ელისაშვილი: „ბადაშვილის და გოგაძის წინააღმდეგ გამოძიება უნდა დაიწყოს“

გვ.2

დამოუკიდებელი დეპუტატი პროკურატურამ დაკითხა

არჩილ გამზარდია: „ილიაუნი ნაციონალების პარტიულ შტაბბინას დაემსგავსა“

გვ.4

ნანა კაკაბაძე: „ალეკო ელისაშვილის არ მჯერა“

გვ.3

„თუ შენთან არ დაერეკებათ, არ დაგირეკავენ“

თინა ხიდაშელი: „ნატოს შემდეგი გაჩერება საქართველო იქნება“

გვ.3

ISSN 1987-9385

რუსთავი 2-ის თანამშრომელი შსს-მ დაკითხა

გვ.4

ალეკო ელისაშვილი: „ბადაშვილის და გოგაძის წინააღმდეგ გამოძიება უნდა დაიწყოს“

გიორგი ბადაშვილი

გიორგი გოგაძე

გუშინ, 9 დეკემბერს, მთავარ პროკურატურაში შეწყალების კომისიის ყოფილი თავმჯდომარე ალეკო ელისაშვილი დაკითხეს.

როგორც დაკითხვის შემდეგ ელისაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, მისი პირველი რიგის ამოცანაა, დაისაჯონ ის ბინძური პოლიტიკოსები, რომლებიც პატიმრების გათავისუფლებით ცდილობდნენ ფული ეშოვათ.

ამასთან, ელისაშვილი მთავარი პროკურორის მოადგილის, გიორგი გოგაძის განცხადებასაც გამოეხმაურა და მას უსირცხვილო და ლაჩარი უწოდა.

აღნიშნულ კონტექსტში შეწყალების კომისიის ყოფილმა თავმჯდომარემ და საკრებულოს დამოუკიდებელმა დეპუტატმა აღნიშნა, რომ მის მეორე ამოცანას გულგრილობის ფაქტზე ბადაშვილისა და გოგაძის წინააღმდეგ გამოძიების დაწყება წარმოადგენს.

– ჩემს ხელთ არსებული ინფორმაცია, რომელიც ეხება „ქართული ოცნების“ გავლენიანი მაღალჩინოსნების მხრიდან ფულის აღებას პატიმრების გათავისუფლების სანაცვლოდ, პირადად მივაწოდე გიორგი გოგაძეს და გიორგი ბადაშვილს, თუმცა, გოგაძეს დღეს არ ეყო ვაჟკაცობა, ეს ეღიარებინა. არ ველოდი, რომ მათ არ აღმოაჩნდებოდათ ღირსება, ეს დაედასტურებინათ, მაგრამ არის მეორე მომენტიც – გოგაძეს რომ ჩემგან ინფორმაციის მიღება ეღიარებინა, მაშინ ცალკე გამოძიება უნდა დაწყებულიყო გულგრილობის ფაქტზე, რაც მათ რეალურად გამოავლინეს. აქედან გამომდინარე, გოგაძემ არ აღიარა ეს. ბატონი გოგაძე ძალიან სამარცხვინო პერსონაჟი აღმოჩნდა, – განაცხადა ელისაშვილმა.

მისივე თქმით, აღნიშნული ტიპის ფაქტებთან დაკავშირებით პროკურატურის მაღალჩინოსნებს ინფორმაცია სხვა პირებმაც მიაწოდეს.

– გოგაძე რეალურად არ არის პროკურორი, როგორიც ქვეყანას სჭირდება. ეს არის სამარცხვინო ადამიანი. პირველ რიგში, უნდა დაისაჯონ პოლიტიკოსები, რომლებიც ფულის აღებით ცდილობდნენ პატიმრების გათავისუფლებას, მეორე რიგის ამოცანა კი არის ის, რომ, რადგან გოგაძე ასეთი უსირცხვილო და ლაჩარია, მისი და ბადაშვილის წინააღმდეგ დაიწყოს გამოძიება გულგრილობის ფაქტზე, – აღნიშნა მან.

◆ ◆ ◆

ელისაშვილმა გიორგი გოგაძის მიერ გუშინ დილით გაკეთებული განცხადება იგულისხმა, რომლის მიხედვით, მთავარი პროკურორის მოადგილემ სრული სიცრუე უწოდა ელისაშვილის განცხადებას იმის თაობაზე, რომ მას და გიორგი ბადაშვილს იმ პოლიტიკოსების სახელები და გვარები მიაწოდა, რომლებიც კონკრეტული პატიმრების შეწყალებით არიან დაინტერესებულნი.

– ალეკო ელისაშვილის განცხადება არის სრული სიცრუე. მე მას მართლაც შევხვდი, თუმცა ეს ეხებოდა მისი სკოლის მასწავლებელს თუ დირექტორს, რომელიც ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეში იყო დაზარალებული და პროკურატურისგან კუთვნილი თანხის დაბრუნებაში ითხოვდა დახმარებას. ამ შეხვედრას ესწრებოდა იმ რაიონის პროკურორიც, რომელიც აღნიშნულ საქმეზე ახორციელებდა ზედამხედველობას. ასევე ესწრებოდა ჩვენი სამართლებრივი დეპარტამენტის უფროსის მოადგილე.

დამოუკიდებელი დეპუტატი პროკურატურამ დაკითხა

სხვა შეხვედრა ჩვენ მასთან არ გვქონია და მისი განცხადებები, რომ მოგვაწოდა რაიმე ინფორმაცია კონკრეტული სახელებისა და გვარების შესახებ, ან იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებზედაც თავად საუბრობს, არის სიცრუე, – განაცხადა გოგაძემ.

◆ ◆ ◆

ალეკო ელისაშვილმა დაადასტურა, რომ პროკურატურაში ერთ-ერთი სკოლის დირექტორს მიჰყვა, თუმცა, მისი თქმით, ამის შემდეგ ის ბადაშვილს შეხვდა.

– 161-ე სკოლის დირექტორის, ლონდა მებურიშვილის მეუღლეს და ვაჟიშვილს გამოვყევი ვაკე-საბურთალოს პროკურორთან შესახვედრად და ასეთი რამ მანამდეც გამიკეთებია. თავად მე ამ სკოლაში არ ვსწავლობდი და ეს ადამიანი არის ჩემი ამომრჩეველი. ეს ოჯახი დაზარალდა თაღლითობის შედეგად და ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ჰქონდათ განცდა, რომ მათი საქმის გამოძიებას პროკურატურა აფერხებდა.

ვაკე-საბურთალოს პროკურორთან შეხვედრის შემდეგ ჩამოვიდა გოგაძე და მითხრა, რომ გიორგი ბადაშვილს ჩემთან გაცნობითი ხასიათის შეხვედრა სურდა. ეს შეხვედრა შედგა ბადაშვილის კაბინეტში და, სავარაუდოდ, ამის ვიდეოჩანაწერებიც იარსებებს. ბადაშვილს ვკითხე, იცოდა თუ არა ამ ფაქტების შესახებ, რაზეც მითხრა, არ ვიცი. შემდეგ ამ უსირცხვილო გოგაძეს და ბადაშვილს თავიდან ბოლომდე მოვუყევი ყველა დეტალი.

ბოლომდე მივიყვან ამ ბინძური პოლიტიკოსების საქმეებსაც და გოგაძისა და ბადაშვილის საქმეებსაც. ვისურვებდი, რომ გოგაძეს ვაჟკაცობა და პატიოსნება ჰქონოდა და ეღიარებინა, რაც იყო და როგორც იყო. ასეთი სამარცხვინო პროკურორები გვყავს დღეს, – განაცხადა ელისაშვილმა.

◆ ◆ ◆

უშუალოდ დაკითხვის შესახებ კი შეწყალების კომისიის ყოფილმა თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ გამომძიებელს მიაწოდა მის ხელთ არსებული ყველა ინფორმაცია.

– მე გამომძიებელს ვუთხარი ამ პოლიტიკოსების გვარები. ზვიად ქორიძეც დაიკითხება ამ საქმეზე, ასევე პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსიც, ასევე ეს პოლიტიკოსებიც. მე ვფიქრობ, რომ უნდა დაიკითხოს პრეზიდენტიც, პარლამენტის თავმჯდომარე, თავდაცვის მინისტრი და კიდევ სხვები, – აღნიშნა ელისაშვილმა.

◆ ◆ ◆

საქართველოს მთავარ პროკურატურაში ალეკო ელისაშვილის მიერ მედიაში გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე დაიწყო გამოძიება სსკ-ს 339-ე პრიმა მუხლის მეორე ნაწილით, რაც ზეგავლენით ვაჭრობას გულისხმობს.

აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაციას მთავარი პროკურატურა ავრცელებს.

გიგი წერეთელი: „რადარებიდან ვერ გაგვაქრობენ“

შორენა მარსაგიშვილი

იშლება თუ არა ნაციონალური მოძრაობა, ვინ გახდება პარტიის თავმჯდომარე, რატომ უნდა მიხედოს ყველამ საკუთარ პარტიას? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ნაცმოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, დეპუტატი გიგი წერეთელი ესაუბრება.

– თქვენი ოპონენტების მტკიცებით, ნაციონალური მოძრაობა მარტივ მამრავლებად იშლება. მართლა ასეთი უბედურება გჭირთ, ბატონო გიგი?

– ამაზე ჩვენი ოპონენტები უკვე წლებია, რაც საუბრობენ. ამტკიცებენ, რომ ნაციონალური მოძრაობა მარტივ მამრავლებად იშლება, სინამდვილეში კი პირიქით არის საქმე.

– პირიქით როგორ არის, პარტია ხომ დატოვა რამდენიმე ადამიანმა?

– ეს იყო რამდენიმე ადამიანის გადაწყვეტილება. ამას არც პარტიის სამომავლო გეგმებზე და არც მის ძირითად ბირთვზე მოუხდენია გავლენა. არადა 2012 წლის არჩევნების შემდეგ დიდი სირთულეები შეგვხვდა, რამაც კიდევ უფრო გაგვაძლიერა.

ჩვენი კეთილისმსურველები მინდა დავამშვიდო, რომ პარტია არანაირ რყევებს არ განიცდის. ამის ნათელი მაგალითი 8 დეკემბერს ხობში გამართული შეხვედრაა. ადამიანები გრძნობენ, რომ ჩვენ 2016 წლის არჩევნებზე სერიოზული წარმატების მოპოვება შეგვიძლია. ჩვენ ახლაც აქტიურები ვართ, მაგრამ კიდევ უფრო გავაქტიურდებით.

ნაციონალური მოძრაობის წევრების წინააღმდეგ დაწყებულმა პოლიტიკურმა დევნამ პარტიის წევრებს ცხოვრება სერიოზულად გაურთულა. რაიმე აზრთა სხვადასხვაობა თუ იქნა, ნურავის გაუკვირდება, რადგან პარტიაში რამდენიმე ჯგუფია. ნაცმოძრაობის რიგებში დიდი მატებაა.

– ახალი წევრები გემატებათ?

– რეგიონებიდან ასეთი ინფორმაციები მოდის და ამას ჩვენც ვხედავთ. სადაც არ უნდა გავმართოთ შეხვედრა, ყველგან სავსეა დარბაზი. ბევრი პარტია მართლა ვერ გაუძლებდა იმ წნეხს, რასაც ჩვენ გავუძელით. პარტიის რამდენიმე ლიდერი დაპატიმრებულია, მისი თავმჯდომარე საქართველოში ვერ ჩამოდის. ეს დიდი დარტყმებია, რომლებიც ხელისუფლებამ შეგნებულად მოგვაყენა. ისინი არც მალავენ, რომ მათი მიზანი ჩვენი დასუსტებაა, მაგრამ რადარებიდან ჩვენს გაქრობას ვერ ეღირსნენ.

ბოლო სოციოლოგიურმა კვლევებმა აჩვენა, რომ ხელისუფლების რეიტინგი იკლებს, ხოლო ჩვენი იზრდება.

– როცა ეს კვლევები ჩატარდა, ნაცმოძრაობის ლიდერი ჯერ კიდევ მიხეილ სააკაშვილი იყო და ბევრი ადამიანი პირადად მას უჭერდა მხარს. ახლა როგორ იქნება საქმე? ექსპრეზიდენტს მოქალაქეობა შეუწყდა, ის ვეღარ იქნება პარტიის თავმჯდომარე.

„რესპუბლიკელებმა „ქართული ოცნება“ უნდა დატოვონ“

– ამის მიუხედავად, ის მაინც დარჩება პარტიის ლიდერად და სახედ. ნაციონალური მოძრაობა მის მიერ არის დაარსებული და ის მასთან ურთიერთობას არასდროს შეწყვეტს. მოსახლეობა აუცილებლად გააგრძელებს ჩვენს მხარდაჭერას.

– როგორ აპირებთ მასთან თანამშრომლობას?

– პარტიის წევრებისთვის მიხეილ სააკაშვილი და ნაციონალური მოძრაობა განუყოფელია. როგორ გაგრძელდება მასთან თანამშრომლობა, ამას მომავალში გადავწყვეტთ.

– მის გარეშე არ გაგიჭირდებათ?

– მას შემდეგ, რაც მიხეილ სააკაშვილმა დატოვა საქართველო, ჩვენ მუშაობის ახალ რეჟიმზე გადავერთეთ. მნიშვნელოვან საკითხებს მასთან ვათანხმებდით, მაგრამ გადაწყვეტილებებს ძირითადად მისი ჩარევის გარეშე ვიღებდით.

– სააკაშვილის არყოფნაში გადაწყვეტილებების მიღებისას გადამწყვეტი სიტყვა ვის ეკუთვნის?

– პარტიას ჰყავს პოლიტიკური საბჭო. გადაწყვეტილების მიღებაში მაქსიმალურად ვართ ყველანი ჩართულები. ჩვენთან შიდა დემოკრატია მაქსიმალურად კარგად ფუნქციონირებს. აქამდე რამე პრობლემა არ შეგვქმნია, ახლა ვნახოთ, რა იქნება. მიმაჩნია, რომ სააკაშვილი ახლა ნაციონალური მოძრაობის პრობლემებით ნაკლებად უნდა იყოს „დაგრუზული“. ის უკრაინაში სერიოზულ ძალებს უპირისპირდება და ბევრი საქმე აქვს.

– რესპუბლიკელებმა არაერთხელ გამოთქვეს მოსაზრება, რომ ნაციონალებისთვის სასარგებლო იქნება, თუ ისინი სააკაშვილს გაემიჯნებიან. ვრცელდება ჭორი იმის შესახებაც, რომ მათ დაგიბარეს, თუ მას გაემიჯნებით, თქვენთან კოალიციას შევქმნითო. მართლა იყო ასეთი შემოთავაზება?

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაგურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ნანა კაკაბაძე: „ალეკო ელისაშვილის არ მჯერა“

ნონა ცაბაძე

უფლებადამცველი ნანა კაკაბაძე ალეკო ელისაშვილის განცხადებებს ეხმიანება და აცხადებს, რომ ეს პროცესი ბევრ კითხვის ნიშანს ბადებს.

– ქალბატონო ნანა, პატიმრების შეწყალების პროცესში ყოველთვის აქტიურად იყავით ჩართული. რა ხდება, მართლაც აქვს ადგილი ზეწოლას შეწყალების კომისიის ყოფილ და ამჟამინდელ თავმჯდომარეებზე?

– ჩემთვის ეს იმდენად წარმოუდგენელი რაღაცაა, რომ ვერც შევძლებ დავიჯერო, რომ ალეკო ამას სერიოზულად ლაპარაკობდა. ვერ წარმომიდგენია, რომ ეს შეიძლება რაიმე კავშირში იყოს სიმართლესთან.

– კონკრეტულ გვარებს რომ ასახელებს?

– მე ვერ ვხვდები, მის განცხადებებში საერთოდ რა ლოგიკაა. ეს აბსურდია. ან თვითონ როგორ დაუშვა ეს? როდის ეგ თავმჯდომარე იყო, აქამდე სად იყო, ხმა რატომ არ ამოიღო? რატომ მაშინვე არ მიმართა პროკურატურას?!

– აცხადებს, რომ გასულ ზაფხულს შეხვდა მთავარ პროკურორ ბადაშვილს და ყველაფერზე ესაუბრა.

– დღეს თუ აკეთებს საჯარო განცხადებას, თავიდანვე გაეკეთებინა. მით უმეტეს, ბადაშვილს თუ უთხრა და რეაგირება თუ არ მოჰყვა. უკვე ორი წელია, აღარ არის შეწყალების კომისიაში და ეს ხომ ძალიან დიდი დროა. სად იყო აქამდე?! პატიმრებს თუ ამას უკეთებდნენ, როგორ შეიძლებოდა ეს წლების განმავლობაში ყოფილიყო დაფარული?! ეს ისეთი რაღაცაა, რომ ნამდვილად ვერ ვიჯერებ, რომ ეს რეალობაა.

– მაშინ რასთან გვაქვს საქმე?

– ეს ჩემთვის გაუგებარია. მე ამ ყველაფერში ლოგიკას ვერ ვხედავ. დავიჯერო, ელისაშვილს დაურეკავდა რომელიმე მაღალჩინოსანი და ეტყოდა, რომ ფული მაქვს აღებული და შენ ეს პატიმარი უნდა შეიწყალოო?!

– ბესელიასაც ბრალდება, რომ პოლიტპატიმრების სიის შედგენაში ფული აიღო.

– მერე გამოვიდეს და თქვას კონკრეტული გვარი, კონკრეტული საქმე, ვისგან აიღეს ფული! რა, პოლიტპატიმრების საქმეზე ბესელია ღებულობდა გადაწყვეტილებას? გადაწყვეტილებას ხომ ღებულობდა ერთი მხრივ კომისია, მეორე მხრივ საპარლამენტო ბიურო, პარლამენტი, განა რამხელა თანხაა აღებული, რომ ეს ამდენ ადამიანზე გაიყო! ეს ხომ აბსურდია! ელისაშვილმა ხომ ზუსტად იცის, ეს სიები როგორც დგებოდა.

– ბესელია კონკრეტულ პატიმრებს ლობირებდაო...

– კონკრეტულ პატიმრებს რომ ლობირებდა, ამის უკან ფული იდგაო?! მე გეტყვით, როგორ დგებოდა სიები.

ბესელია იქ არავინ არ იყო. ეს იყო პოლიტიკური პარტიების მიერ შემოტანილი სიები და ადვოკატების მიერ შემოტანილი სიები, რომ ჩემი პატიმარი იჯდა პოლიტიკური ნიშნით. ეს იყო სიები, რომლებიც კახა კუკავასთან კეთდებოდა, რაშიც უამრავი არასამთავრობო ორგანიზაცია და ადვოკატი მონაწილეობდა. ეს ეხებოდა 2006 წლიდან 2012 წლამდე დაკავებულებს. ხომ გამორიცხულია, ამ პერიოდში ვინმეს ფული აეღო, ეს წმინდა პოლიტიკური სია იყო. ამ სიაში ეჭვის შეტანა ავადმყოფური გონების ნაყოფია.

– ახალ სიაზე რას იტყვით?

– ამ ძველ სიას დაემატა პოლიტიკური პარტიების მიერ წარმოდგენილი სიები, რომლებსაც ციხეებში პოლიტპატიმრები ჰყავდათ. ყველა ოპოზიციურმა პარტიამ თავისი ხალხი წარმოადგინა. შემდეგ მოხდა ამ სიების შეჯერება და ერთიანი სიის შექმნა. კომისიები სათითაოდ გადიოდნენ ყველა საქმეს. ეკა ბესელიას რა უფლება ჰქონდა, ამ სიაში ვინმე ჩაეწერა?!

– ელისაშვილის განცხადებას მხარი შეწყალების კომისიის ამჟამინდელმა თავმჯდომარემ, ზვიად ქორიძემაც, აუბა, რომ მასზეც ხორციელდება ზეწოლა. ამაზე რას იტყვით?

– თუ ასეთი ზეწოლებია და თუ ეს ამდენი ხანია იციან, ეს უბრალოდ დანაშაულის დაფარვაა მათი მხრიდან! სად იყვნენ აქამდე? ან ელისაშვილს რომ არ ეთქვა, ქორიძეს ხმა არ უნდა ამოეღო?! ეს ყველაფერი ძალიან ბუნდოვანია.

– საუბარია, რომ როდესაც პატრიარქმა გამოთქვა პატიმრების შეწყალების სურვილი, სწორედ მას შემდეგ აგორდა ეს თემაც. რამდენად უკავშირდება ეს თემები ერთმანეთს?

– ვერანაირად ვერ დაუკავშირდება. მეც იქ ვიყავი, როდესაც პატრიარქმა ეს თქვა. ერთად ვესწრებოდით იმ სპექტაკლს. ეს არ ყოფილა იმ კონტექსტში ნათქვამი, რომ ის ხელისუფლებას სთხოვდა, შეწყალების უფლება მომეციო. მას ადამიანურად გაუჩნდა ამის სურვილი, ისევე, როგორც ყველა ჩვენგანს, ვინც იქ ვიყავით, რომ ეს პატიმარი ქალები, რომლებიც ასე ბრწყინვალედ თამაშობდნენ, გარეთ ყოფილიყვნენ.

– მაშინ პრემიერმა რატომ მისცა ამ ყველაფერს სერიოზული სახე?

– ისიც ემოციებს აჰყვა. ყველა იქ მყოფს ის განცდა ჰქონდა, რომ, როგორ შეიძლება, ეს ადამიანები უკან შევაბრუნოთ ციხეში.

– თქვენ აბსურდულად მიგაჩნიათ ელისაშვილის განცხადებები?

– არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება, მაგრამ მე ეს წარმოუდგენლად მიმაჩნია. ამაზე გირეკავენ მაღალჩინოსნები და შენ ამ საკითხზე დუმხარ, მით უმეტეს, ალეკო რომ ხარ ელისაშვილი, აი, ეს მიმაჩნია აბსურდად, რომ თავიდანვე რატომ არ ჰქონდა ამაზე რეაქცია. მიმაჩნია, რომ სხვა რაღაც დგას ამის უკან.

– რას გულისხმობთ რაღაც სხვაში?

– ეს გამოჩნდება ძალიან მალე. თუ არ დაიდო კონკრეტული გვარები, კონკრეტული საქმეები, რომელთა დაკავშირებითაც მათ ჰქონდათ ასეთი ზარები განხორციელებული, მაშინ ეს სხვა რაღაცას ჰგავს და ახლა არ მინდა ამის შეფასება. თუკი ასეთი რამ ხდება ამ კომისიაში, მაშინ საერთოდ კითხვის ნიშნის ქვეშ დგება, პრეზიდენტს უნდა ჰქონდეს თუ არა შეწყალების უფლება.

– პრეზიდენტი რა შუაშია?

– თუკი ის იმას ვერ აბამს თავს, რომ ეს უფლება იყოს რეალიზებული კანონიერად, მაშინ მას ამ შეწყალების განხორციელების უფლება არ უნდა ჰქონდეს. მიშა სააკაშვილის დროს არ

„თუ შენთან არ დაერეკებათ, არ დაგირეკავენ“

დამდგარა ეს საკითხი და მაშინ არავის უთქვამს, შეწყალების კომისია კორუფციის წყაროაო და დღევანდელი პრეზიდენტის დროს თუ ეს საკითხი ასეთი დისკრედიტებულია, მაშინ მას ამისი უფლება არ უნდა ჰქონდეს.

– პრეზიდენტის დანაშაული რაში მდგომარეობს?

– პრეზიდენტმა ვერ უზრუნველყო ისეთი კომისიის შექმნა, რომელსაც ასეთ ზარებს ვერ გაუბედავდნენ. ან ერთხელ თუ ვიღაცამ გაბედა, ვერ უზრუნველყვეს ის, რომ ასეთი რამ არ განმეორებულიყო!

– ეს რაზე მიანიშნებს?

– ე.ი. შენს კომისიაში შესაძლებელია ასეთი ზარების განხორციელება და ამიტომ გირეკავენ! სხვანაირად ვერ დაგირეკავენ და ეს ორჯერ ორი ოთხია! თუ შენთან არ დაერეკებათ, არ დაგირეკავენ. ჩემს ცხოვრებაში არ მახსოვს, ჩემთან ვინმეს ასეთი ზარი გაეკეთებინოს! მე ეჭვი მეპარება, რომ ალეკო ელისაშვილი ისეთი ადამიანი იყოს, ვისთანაც ასეთი ზარის გაკეთება შეიძლებოდეს. ხოლო თავადვე რომ ამბობს, რომ მასთან ასეთი ზარები კეთდებოდა, ეს ჩემთვის გასაოცარია!

გიგი წერეთელი: „რადარებიდან ვერ გაგვაქრობენ“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

– კოალიციის შექმნაზე არანაირი შემოთავაზება არ გვქონია. იმდენი ვინმე აკეთებს განცხადებებს, ყველას ვერ მივადევნებთ თვალ-ყურს. არც ის ვიცით, რა სურვილები აქვთ რესპუბლიკელებს. სურვილებზე თუ მიდგა საქმე, შესაძლოა, ვიღაცას სურდს, რომ კარგი იქნება, თუ ისინი კოალიცია „ქართულ ოცნებას“ ჩამოშორდებიან.

– ასე ფიქრობთ?

– არაერთხელ მითქვამს, რომ ისინი ხელოვნურად არიან ამ კოალიციაში და კარგი იქნება, თუ იქიდან წამოვლენ. მათ კოალიციის დანარჩენი სუბიექტებისგან განსხვავებული პოზიციები აქვთ. ბევრჯერ მისცეს რჩევა, რომ კარგი იქნებოდა, თუ იქიდან წამოვიდოდნენ, მაგრამ მათ ასეთი რამ არ გაუკეთებიათ.

რესპუბლიკელებს რჩევისთვის და სურვილისთვის მადლობა, მაგრამ ჩვენი გადასაწყვეტია, ვინ იქნება ჩვენი ლიდერი. ეს საკითხი უკვე გადავწყვიტეთ და ახლა იმაზე ვფიქრობთ, როგორ გავისტუმროთ ეს ხელისუფლება.

– თუ რესპუბლიკელები „ქართულ ოცნებას“ დატოვებენ, მათთან ითანამშრომლებთ? წესით უნდა გაგიჭირდეთ, ერთმანეთზე ისეთი რამეები გაქვთ ნალაპარაკევი.

– ჩვენ რესპუბლიკელებზე ბევრი არ გვილაპარაკია. მათ ილაპარაკეს და ეს მათი უფლებაა, ამის გამო არავის ვუსაყვედურებ. პოლიტიკაში როცა ხარ, უნდა გაითავისო, რომ შენზე ხშირად იტყვიან ცუდს. ამაზე შეიძლება გაბრაზდე, შეიძლება განიცადო, მაგრამ უნდა აიტანო.

რესპუბლიკელებთან შესაძლო თანამშრომლობას რაც შეეხება, მიკვირს, რატომ ისმება ეს საკითხი. ეს პარტია დღემდე ძლიერად არის კოალიციაში წარმოდგენილი. მათ აღმასრულებელ ხელისუფლებაშიც მნიშვნელოვანი თანამდებობები უკავიათ. როდესაც ხელისუფლების წასვლას ვითხოვთ, მხედველობაში რესპუბლიკური პარტიაც გვყავს. მათთან რაიმე ტიპის კოალიციის შექმნაზე ლაპარაკი ზედმეტია.

– ზემოთ თქვენ აღნიშნეთ, პარტიაში არის ჯგუფები. მართალია, რომ ეს ჯგუფები ისე არიან ერთმანეთთან დაპირისპირებული, რომ თქვენ და მიშა მაჭავარიანს გამშველებლის ფუნქციის შესრულება გიწევთ? ლადო სადღობელაშვილი ამტკიცებს, რომ თქვენ ორს ხშირად გიწევთ სამშვიდობო მისიის შესრულება.

– ჩვენზე როცა მიდის საუბარი, ხშირად ბევრი რამ გადამეტებულია. აზრთა სხვადასხვაობას ჩვენთანაც აქვს ადგილი, მაგრამ ამას ხელისუფლება დიდ დაპირისპირებად ფუთავს. ამის დასამტკიცებლად სხვადასხვა ჩანაწერებს აქვეყნებენ. ზოგიერთი მათგანი ნამდვილია, ზოგიც – ფალსიფიცირებული.

„იმის გამო, რომ ხელისუფლებამ რაღაც ჩანაწერები მოგვასმენინა, ერთმანეთს მტრებად არ მოვეკიდებით“

რაც შეეხება ჩემ მიერ ნახსენებ ჯგუფებს, ამაში განსაკუთრებული არაფერია, რადგან პარტია საკმაოდ დიდია. როცა ბევრი ხალხია, იქ ბუნებრივად იქმნება რამდენიმე ჯგუფი.

– ამ ჯგუფებს შორის არ არის დაპირისპირება?

– ჩვენ არ ვართ დედმამიშვილები და ყველას თავისი მოსაზრება აქვს. გადაწყვეტილებების მიღების და სტრატეგიის შემუშავების დროს ერთმანეთს ვეთანხმებით.

– ვინც არ ეთანხმება, ის რას აკეთებს?

– ვინც არ ეთანხმებოდა, ისინი წავიდნენ. ამას ჩვენ, როგორც მოწიფული პოლიტიკოსები, ისე შევხვდით, ამაზე წივილ-კივილი არავის აგვიტეხია.

– მშვიდობის მტრედობა მართლა გიწევთ თქვენ და მაჭავარიანს?

– არ ვიცი, ვინ მაბრალებს მშვიდობის მტრედობას, მაგრამ ყოველთვის ვცდილობ, გუნდში ერთიანობა იყოს. 20 წელია, პოლიტიკაში ვარ და არასდროს შემიტანია გუნდში განხეთქილება. როცა საჭიროა, კომპრომისზე უნდა წახვიდე.

– ისე საუბრობთ, აშკარად გიწევთ სამშვიდობო მისიის შესრულება.

– ყოველთვის ვცდილობ, დაძაბული ვითარება გავანეიტრალო. არ დავმალავ და ვიტყვი, რომ პარტიაში ხშირად არის კამათი. ზოგიერთი გადაწყვეტილების მიღება გვიჭირს და ვკამათობთ. კამათი კი არაფერია, რადგან ასეთ რამეს ყველა ოჯახში აქვს ადგილი.

– რაზე კამათობთ ხოლმე?

– ნებისმიერი საკითხი შეიძლება გახდეს ცხარე კამათის მიზეზი. ასეთი რამე ყველა პარტიაშია და რატომღაც მხოლოდ ჩვენზე მახვილდება ყურადღება. ამას თავისი ახსნა აქვს – ჩვენ მთავარი ოპოზიციური ძალა ვართ და ჩვენზე სხვებზე მეტს საუბრობენ.

ზოგიერთ მითქმა-მოთქმას საფუძველიც შეიძლება ჰქონდეს, რადგან ვიღაცამ რაღაც არასწორად თქვა. ცოტა ხნის წინ გამოქვეყნებულ ჩანაწერებზე დიდი გეგმები ააგეს ჩვენმა ოპონენტებმა.

– თქვენ ფიქრობთ, რომ ეს ბოლო ჩანაწერები არაფერს არ ნიშნავს და პარტიაში დაპირისპირება არ არის?

– ჩანაწერებს ყურადღება არ მივაქციო, ამას ნამდვილად ვერ ვიტყვი, მაგრამ არც ისეთ მნიშვნელოვან ამბად მიმაჩნია, რომ ამან პარტიაში კატაკლიზმები გამოიწვიოს. მე არავის შეფასებას არ ვაპირებ, სიტყვა ყველას გაგვქცევია, თუმცა თავის გაკონტროლება აუცილებელია.

– თქვენი კოლეგებიც ასე ლოიალურად შეხვდნენ ამ საუბრებს?

– პარტიაში ამის დეტალური განხილვა არ მომხდარა. ცხელ გულზე ბევრი რამის თქმა შეიძლება. იშვიათად მეგულება ისეთი ფრთიანი ადამიანი, რომელსაც სხვაზე არაფერი უთქვამს. ნაციონალურ მოძრაობას ბევრად მნიშვნელოვანი გამოწვევა აქვს და მკვახე შეფასებებისთვის არ გვცალია.

– ანუ პარტიაში ყველაფერი გარკვეულია და დაპირისპირებაც აღმოიფხვრა?

– ქართულ პოლიტიკის 20 წლიან ანალიზს თუ გავაკეთებთ, ვნახავთ, რომ მტრები ერთმანეთის მეგობრები გახდნენ, ხოლო მეგობრები ერთმანეთის პოლიტიკურ მტრებად იქცნენ. იმის გამო, რომ ხელისუფლებამ რაღაც ჩანაწერები მოგვასმენინა, ერთმანეთს მტრებად არ მოვეკიდებით.

ხელისუფლებას კი ვურჩევ, საკუთარ ჩანაწერებს მიხედოს. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ მათი მონაწილეობით ისეთი საუბრები მოვისმინეთ, ერთმანეთზე ისეთ სიტყვებს ამბობდნენ, რომ არ ვიცი. ეს ადამიანები ახლა მშვენივრად არიან ერთად. გოკა გაბაშვილს ამის მეათედიც არ უთქვამს და რატომ დაუპირისპირდებოდა ვინმე?!

თინა ხიდაშელი: „ნატოს შემდეგი გაჩერება საქართველო იქნება“

საქართველოს ნატოში ინტეგრაციის პერსპექტივების შესახებ ისაუბრა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა, თინა ხიდაშელმა, ვაშინგტონში, სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ცენტრში სიტყვით გამოსვლისას.

მისი განცხადებით, ნატოს საგარეო საქმეთა მინისტერიალი საქართველოსთან მიმართებაში ერთმნიშვნელოვნად პოზიტიური იყო.

თინა ხიდაშელი:

– მინისტერიალში მონაწილე საგარეო საქმეთა მინისტრებმა განაცხადეს, რომ შემდეგი ქვეყანა, რომელსაც ნატოში მიიწვევენ, საქართველო იქნება. თუ ნატოს ექნება შემდეგი გაჩერება, ეს ქვეყანა უნდა იყოს საქართველო. მაპის არმიღება კი დაბრკოლებას არ წარმოადგენს, რადგან თუ იქნება პოლიტიკური გადაწყვეტილება, ნატო მე-10 მუხლის მიხედვით იმოქმედებს. მაგალითად, თუ ხვალ შვედეთი გადაწყვეტს, გახდეს ნატოს წევრი, მას მაპს კი არ შესთავაზებენ, არამედ პირდაპირ მიანიჭებენ წევრობას.

ნიუსპრესი

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

რუსთავი 2-ის თანამშრომელი შსს-მ დაკითხა

რუსთავი 2-მა 8 დეკემბერს გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის (სუს) წარმომადგენლები ტელეკომპანიის ფინანსური დირექტორის მძღოლის, კახა კუბლაშვილის, გადაბირებას ცდილობდნენ. ისინი კუბლაშვილის ხელფასითაც დაინტერესდნენ და თანხმობის შემთხვევაში, პირობების გაუმჯობესებასაც დაპპირდნენ.

გუშინ, 9 დეკემბერს, კახა კუბლაშვილი შსს-ში დაიბარეს.

უწყებაში განმარტავენ, რომ ტელეკომპანიის ფინანსური დირექტორის მძღოლი დაავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე გასაუბრებაზე დაიბარეს იმისთვის, რომ დამატებითი დეტალები გაერკვიათ.

რამდენიმე საათის შემდეგ კახა კუბლაშვილმა შსს-ს შენობა დატოვა.

ადვოკატის, დიმიტრი საძაგლიშვილის განცხადებით, ფაქტზე ჯერჯერობით გამოძიება არ არის დაწყებული და მხოლოდ გასაუბრება შედგა. საძაგლიშვილი განმარტავს, რომ გასაუბრებამ მშვიდ ვითარებაში, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით ჩაიარა.

– პირები, ვინც ჩვენ შეგვხვდნენ, მოტივირებულები არიან, რომ ამ ფაქტზე სიმართლე დადგინდეს, მაგრამ ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ ამ საქმეზე გადაწყვეტილებას პოლიტიკური ხელმძღვანელობა იღებს, რომელიც რუსთავი 2-ის თანამშრომლების გადაბირებისთვის დაკვეთებს იძლევა, შესაბამისად, არანაირი იმედი არ გვაქვს, რომ ამ საქმეზე შედეგი დადგეს, – განაცხადა დიმიტრი საძაგლიშვილმა.

არჩილ გამზარდია: „ილიაუნი ნაციონალების პარტიულ შტაბბინას დაემსგავსა“

გულიკო ბალაძე

ცოტა ხნის წინ არჩილ გამზარდიას ილიას უნივერსიტეტში ლექციების წაკითხვა შეუზღუდეს. ამ საკითხზე ანალიტიკოსი „ახალ თაობას“ ესაუბრა.

– ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან 9 წელიწადია, ხელშეკრულებას ყოველ სემესტრულად ვდებ. 20/30-ში ბიძინა ივანიშვილის მოწადინებით შემოდგომაზე ტელეკომპანია ჯდს-თან თანამშრომლობა კვლავ განვაახლე, – განაცხადა არჩილ გამზარდიამ.

მისი თქმით, ის ილიაუნში 5 საგანს კითხულობდა, აქედან 2 ძირითად საგანს.

– საეჭვოდ დაემთხვა, რომ 3 საგანი პროგრამიდან ამოაგდეს, 2 საგანი სხვა მიმართულების ლექტორს მისცეს. მხოლოდ შემოდგომის სემესტრში დამტოვეს, ისიც ნაწილობრივ, – გვითხრა ანალიტიკოსმა.

მას არ აქვს იმედი, რომ საგაზაფხულოდ რომელიმე საგანზე ლექციების წაკითხვა დაუკვეთონ.

– ამიტომ გაზაფხულიდან ხელშეკრულება არ დაიდება, რადგან ამის რესურსი აღარ არის. მხოლოდ შემოდგომაზეა დაკვეთა. თუმცა, დეკანმა, რომელსაც მე ვესაუბრე, აღნიშნა, არ ვიცი, ისიც როგორ იქნებაო, – აღნიშნა არჩილ გამზარდიამ.

– ბატონო არჩილ, ილიაუნმა გააკეთა განმარტება.

– ილიას უნივერსიტეტმა გააკეთა განმარტება, ადმინისტრაციისთვის არ მოუმართავსო, მაგრამ მე დეკანს ველაპარაკე. ამდენხნიანი მუშაობის შემდეგ, იმ დროს, როდესაც მე მქონდა ერთ-ერთი მაღალი შედეგი, ყველაზე დადებითი შედეგი მქონდა სტუდენტებთან, 80-95%-ზე მაღალი შედეგი მივიღე სტუდენტებში. ვარ ერთ-ერთი ყველაზე პასუხისმგებლიანი ლექტორი, ლექციების წაკითხვა შემეზღუდა, – განაცხადა ილიაუნის ლექტორმა.

მისი თქმით, ბოლო დროს გააქტიურდნენ ნაცმოძრაობის წარმომადგენლები, რასაც დაემთხვა ეს სიახლეები.

– ამიტომ სრული საფუძველი მაქვს ვიფიქრო, რომ პოლიტიკური დევნის რეჟიმში ვარ. ილიას უნივერსიტეტი წინასაარჩევნო შტაბბინის ფუნქციას იძენს, – აღნიშნა არჩილ გამზარდიამ.

– სხვა უნივერსიტეტებში რა ხდება ამ მხრივ?

– ილიას უნივერსიტეტი, ისევე, როგორც დღევანდელი სახელმწიფო უნივერსიტეტების დიდი ნაწილი, მოქცეულია წინა ხელისუფლების წევრების მმართველობის რეჟიმში. ამიტომ დასაფიქრებელია, სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელმწიფო ფინანსებს ყოფილი მმართველი ძალა თავისი პოლიტიკური ინტერესებისათვის ხომ არ იყენებს. ამის წინაპირობები ჩანს.

„პოლიტიკური დევნის რეჟიმში ვარ“

– 20/30-ში ბრუნდებით?

– შემოდგომაზე ჯდს-თან ხელშეკრულება განვაახლე ბიძინა ივანიშვილის მოწადინებითა და ტელეკომპანიის პროდიუსერ ვასილ მაღლაფერიძის მიწვევით. ვარ მრჩეველი, კონსულტანტი.

– ჩემს ჯდს-ში დაბრუნებას საეჭვოდ დაემთხვა ილიას უნივერსიტეტიდან გამოშვებაო. რამე მინიშნება ხომ არ ყოფილა?

– არა. ასე ღიად არავინ საუბრობს. უბრალოდ, როდესაც 20/30-დან წამოვედი, ვარაუდობდნენ, რომ ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ აქტიურად დავიწყებდი გამოსვლას და დავარტყამდი მას. ეს ასე არ მოხდა იმიტომ, რომ ამის საფუძველი არ მქონდა. ერთი ფაქტორი იყო ის, რომ ბიძინა ივანიშვილთან მქონდა საქმიანი ურთიერთობები. მეორე ფაქტორია, ბიძინა ივანიშვილთან რომ გავაგრძელე საქმიანი ურთიერთობები.

როგორც ჩანს, ყოფილი მმართველი ძალის წარმომადგენლებს ილიაუნში თვალში ვეჩხირებოდი. ამიტომ ყველაფერი გააკეთეს, თანამშრომლობა რომ შეწყვეტილიყო.

– დავას აპირებთ?

– სამართლებრივ დავას არ ვაპირებ. შეუძლებელიცაა, რადგან ილიას უნივერსიტეტს სამართლებრივად ყველაფერი დალაგებული აქვს. უბრალოდ, საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რა იმალება ამის უკან და სტუდენტებმა უნდა იცოდნენ, რა ხდება მათ გარშემო იმ უნივერსიტეტში, სადაც ისინი სწავლობენ. ქვეყანამ უნდა იცოდეს, რა საშიში კერები შეიძლება აღმოჩნდეს ხვალ უმაღლესი სასწავლებლების სახით საქართველოში ყოფილი მმართველი ძალის შტაბბინის სახით.

– რა საშიში კერებია, სახელმწიფოს უქმნის რაიმე საშიშროებას?

– როდესაც სახელმწიფო უნივერსიტეტია და სახელმწიფო სახსრები იხარჯება, იქ არიან ადამიანები, რომლებიც ამ სახსრებს საკუთარი ინტერესების შესაბამისად განკარგავენ, როდესაც იქ არიან ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები და პროპაგანდას ეწევიან და არის სივრცე, სადაც ურთიერთობენ უცხოელებთან და საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლებთან და ქცეულია რომელიღაც პარტიის შტაბბინად, ეს ზოგადად დიდ საშიშროებას ქმნის.

წინა რექტორისა და წინა დეკანის პირობებში არანაირი პრობლემა არ მექმნებოდა. დღეს ილიაუნი პირდაპირ პარტიული შტაბბინის შთაბეჭდილებას ტოვებს.

– ნაციონალების პოლიტიკური სახეები იქ მოდიან?

– ზურაბ ჭიაბერაშვილი ადრე თანამშრომლობდა, წელს განსაკუთრებით გააქტიურდა. ჩემი ინფორმაციით, ჭიაბერაშვილი არის ბიზნესსკოლის ხარისხის სამსახურის უფროსი. თუმცა მითხრეს, ოფიციალურად სხვაა გაფორმებულიო, რაც კიდევ უფრო უარესია, თუ სინამდვილეში არაფორმალურად მართავს ბიზნესსკოლას.

გარდაბანში გამგებლის რიგგარეშე არჩევნები დაინიშნა

გარდაბანში გამგებლის რიგგარეშე არჩევნები დაინიშნა. საქართველოს პრეზიდენტის შესაბამისი განკარგულება პრეზიდენტის ადმინისტრაციის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა. განკარგულების თანახმად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებლის რიგგარეშე არჩევნები 2016 წლის 28 იანვარს დაინიშნა.

რიგგარეშე არჩევნების დანიშვნა მას შემდეგ გახდა აუცილებელი, რაც გასულ თვეს, გარდაბნის გამგებელი გარსევან ნიორაძე, 55 წლის ასაკში, გულის შეტევით გარდაიცვალა.

ინტერპრესნიუსი

„ინდური წარმოების მედიკამენტი მისაღები, ხარისხიანი და სანდოა“

„მათი წარმოება შესაბამისი ტექნოლოგიების დაცვით უნდა ხდებოდეს“

ფარმაცევტულ ბაზარზე ჯენერიკ მედიკამენტების იმპორტის საკითხს, ენდოქირურგიის საერთაშორისო ცენტრის ხელმძღვანელი **ოთარ ჯანელიძე** გამოეხმაურა:

– მნიშვნელოვანია, რომ ქართულ ფარმაცევტულ ბაზარზე ხარისხიანი მედიკამენტების იმპორტი განხორციელდეს. რა თქმა უნდა, ჯენერიკი იქნება თუ ბრენდი, ის უნდა იყოს სანდო და ეფექტური შედეგების გათვალისწინებით.

საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე ყოველთვის ყველაფერი იყიდებოდა. გამოსავალი ის გახლავთ, რომ აუცილებელია, ქვეყანაში მედიკამენტზე კონტროლი გამკაცრდეს.

დღეს წამლის ხარისხის კონტროლის მექანიზმი შესაცვლელია, ფაქტობრივად, ეს პროცესი არ ხორციელდება. არ შეიძლება მედიკამენტი საქართველოში იაფი ღირდეს მაშინ, როდესაც ის მთელ მსოფლიოში ძვირია.

ქართული ფარმაცევტული ბაზარი ქაოსურია, გაბატონებულია ოლიგოპოლიაა და შესაბამისად, ფასებიც ძალიან უკონტროლოა.

წლების განმავლობაში საუბრობენ, რომ უნდა დაიკლოს მედიკამენტებზე ფასებმა, მაგრამ რეალურად ვერ ვხედავთ შედეგს. გვესმის მხოლოდ საუბარი, თუ ბაზარზე შემოვლენ ახალი მოთამაშეები, რომლებიც შემოგვთავაზებენ ეფექტურ და მაღალი ხარისხის ჯენერიკებს, რა თქმა უნდა, ამაზე კარგი რა უნდა იყოს, მით უმეტეს, სოციალურად დაუცველებისთვის, პენსიონერებისა და უმწეო ადამიანებისთვის.

რაც შეეხება ინდურ ჯენერიკებს, ჯანელიძე მასში უარყოფითს და მიუღებელს ვერ ხედავს და აღნიშნავს, რომ როგორც ყველგან, ინდოეთშიც აწარმოებენ როგორც ეფექტიან, ისე ნაკლებად ეფექტიან მედიკამენტებს.

ოთარ ჯანელიძე:

– ინდური წარმოების მედიკამენტი მისაღებია, ხარისხიანი და სანდოა, თუ მას შესაბამისი ტექნოლოგიების დაცვით აწარმოებენ. პაციენტი მაქსიმალურად დაცული უნდა იყოს და მედიკამენტის მიღებას არ მოყვეს მოულონელი სახის გართულებები, – ამბობს ოთარ ჯანელიძე.

უნიშნავენ თუ არა ქართველი ექიმები პაციენტებს ჯენერიკ მედიკამენტებს? როგორ ხდება მათი შერჩევა და რა შემთხვევაში ანიჭებენ უპირატესობას ბრენდულ მედიკამენტებს, აღნიშნულ საკითხზე მეან-გინეკოლოგს, ნინო ოქროპირიძეს, ვესაუბრეთ.

ნინო ოქროპირიძე:

– პაციენტს ვუნიშნავ ეფექტურ და ხარისხიან მედიკამენტს,

ეს შესაძლოა იყოს ჯენერიკიც, – აღნიშნავს მეან-გინეკოლოგი და აცხადებს, – ზოგადად, გინეკოლოგიაში საკმაოდ, სპეციფიკური წამლებია და დიდი სიფრთხილით ვეკიდებით არჩევანს. თუმცა, თუ პაციენტი სურვილს გამოთქვამს, რომ იცოდეს როგორც წამლის ბრენდული, ისე ჯენერიკ დასახელება, რეცეპტის გამოწერის დროს აუცილებლად მივუთითებ ორივეს და ის უკვე თავისი შესაძლებლობიდან გამომდინარე წყვეტს, ჯენერიკი მიიღოს თუ ბრენდი.

პაციენტმა უნდა მიიღოს ის მედიკამენტი, რომელიც გამოცდილი, სანდო, ხარისხიანი და ეფექტურია. არასდროს ვეტყვი პაციენტს, რომ მაინცდამაინც, კონკრეტული ფარმაცევტული კომპანიის კონკრეტული წამალი შეიძინოს, ვფიქრობ, ეს მიდგომა არასწორია. მაგრამ არსებობს მედიკამენტები, რომლებსაც არ გააჩნიათ ჯენერიკი, მაგალითად, ფოლიუმის მჟავა. ამ შემთხვევაში სხვა არჩევანიც არ არის.

ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული რეფორმები შეაფასა და თავისი აზრი დააფიქსირა ქიმიოთერაპიის და იმუნოთერაპიის კლინიკა „მედულას“ ექიმმა ლაბორანტმა ეკატერინე დავითიანმა.

ექიმის განცხადებით, ოჯახის ექიმის ინსტიტუტის წინ წამოწევა აუცილებელია, რადგან ეს თავის მხრივ გამოიწვევს დაავადებათა პრევენციას.

– ჯანდაცვის პირველადი რგოლის რეფორმა ძალიან მომწონს. ოჯახის ექიმის ინსტიტუტის წინ წამოწევა აუცილებელია, რადგან ეს თავის მხრივ გამოიწვევს დაავადებათა პრევენციას. პაციენტებს აღარ მოუწევთ გაურკვეველი ვიზიტები სხვადასხვა მიმართულების ექიმებთან და დროს დაკარგვა საჭირო სპეციალისტის ძებნაში. ოჯახის ექიმის ვიზიტის შემდეგ, ექიმი თვითონ წყვეტს, თუ რომელ ვიწრო სპეციალისტთან გადაამისამართოს პაციენტი, – აცხადებს ეკატერინე დავითიანი.

ექიმი რეფორმის წარმატების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობად მოსახლეობის ინფორმირებულობის დონის გაზრდა მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ აღნიშნული რეფორმის შესახებ აუცილებელია მათ უფრო მეტი იცოდნენ. ასევე აუცილებელია საზოგადოებაში ექიმთან ვიზიტის კულტურის დანერგვა, დაავადების პირველივე სტადიაში მიმართონ ექიმს.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ასევე, ოჯახის ექიმების დატრენინგება, რათა მათ ჰქონდეთ შესაბამისი კვალიფიკაცია, გაუწიონ სათანადო მომსახურება პაციენტებს.

ეკატერინე დავითიანი მედიკამენტებზე გაზრდილ ფასებსაც შეეხო და აღნიშნა, რომ ეს ძალიან დიდ დისკომფორტს უქმნის პაციენტებს.

ეკატერინე დავითიანი:

– საკმაოდ რთული მდგომარეობაა შექმნილი ფარმაცევტულ ბაზარზე. პაციენტები ვერ ახერხებენ წამლის შეძენას. ვფიქრობ, აუცილებელია ბაზარზე ფასების დარეგულირება.

მოგეხსენებათ, ნებისმიერი მკურნალობის კურსს შემდგომ მოსდევს მედიკამენტური მკურნალობა და სწორედ ეს პროცესი ხდის მას ეფექტურს. აქედან გამომდინარე, ეს საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია.

რაც შეეხება ჯენერიკ მედიკამენტებს, საზოგადოების ინფორმირებულობის დონე ამ მიმართულებითაც დაბალია. დღეს ასეთია მიდგომა, ბრენდირებული მედიკამენტის ხარისხი გარანტირებულია. ეს უნდა შეიცვალოს და ქვეყანაში მედიკამენტებზე ხარისხის კონტროლი უნდა გამკაცრდეს.

გია ჟორჟოლიანი: „როდესაც ოლქები გათანაბრდება, ყველა ხმა თანასწორი იქნება“

2016 წლის საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას ოპოზიცია განსხვავებული სისტემით მოითხოვს. არასაპარლამენტო ოპოზიციამ 200 ათასი ხელმოწერა უკვე შეაგროვა იმ მოთხოვნით, რომ ქვეყანაში მაჟორიტარული სისტემით არჩევნების ჩატარება გაუქმდეს. სწორედ 200 ათასი ხელმოწერა არის საჭირო საკონსტიტუციო ცვლილებისთვის.

გია ჟორჟოლიანი, „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი, საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ პარლამენტში განსახილველად საპარლამენტო უმრავლესობის ინიციატივაცაა შესული.



ნათია ხურცილავა

– პარლამენტი ორივე ინიციატივას განიხილავს?

– დიახ, ჩვენს ინიციატივასაც და მათ ინიციატივასაც განიხილავს შესაბამისი პროცედურების გათვალისწინებით.

– მმართველი გუნდი თანახმაა, აღნიშნული ცვლილება, პროპორციულ სისტემაზე გადასვლა 2020 წლის არჩევნებისთვის განახორციელოს.

– მმართველმა გუნდმა გააკეთა განცხადება, მეტიც, ვიდრე ოპოზიცია ამ ხელმოწერებს მოაგროვებდა, შეიტანა ინიციატივა, რომელიც გულისხმობს მრავალმანდატიან პროპორციულ სისტემაზე გადასვლას 2016 წლის არჩევნების შემდეგ. კოალიციის 80 დეპუტატმა ხელი მოაწერა საკანონმდებლო ინიციატივას, რომელშიც წერია, რომ 2016 წლის შემდეგი არჩევნები ჩატარდება სწორედ ასე. საუბარია ამ 80 დეპუტატის ინიციატივაზე, რომელიც შევიდა პარლამენტში, როგორც საკანონმდებლო ინიციატივა.

– მემარჯვენეების ლიდერმა კაციტაძემ განაცხადა, რომ მათ მიერ შემოტანილი ინიციატივის განხილვა დაიწყება. როდის დაიწყებს პარლამენტი მის განხილვას?

– კიდევ ერთხელ გიმეორებთ, კაციტაძე არ არის შემომტანი, ეს არის ჩვენი ინიციატივა, რომელსაც ხელმოწერებიც აქვს და ყველაფერიც. იმ 80 დეპუტატის ინიციატივის საფუძველზე პარლამენტი ვალდებულია, რომ ამ ინიციატივის განხილვა დაიწყოს. ასევე, როდესაც შესაბამის პროცედურებს გაივლის 240 ათასი კაცის ხელმოწერა, ესეც გახდება განხილვის საგანი.

წესით, მე რომ მკითხოთ, ჯერ ჩვენი ინიციატივა უნდა იქნას განხილული, მაგრამ ამჯერად საუბარია იმაზე, რომ საქართველოს მოქალაქეები თანასწორ პირობებში უნდა იყვნენ თუ არ უნდა იყვნენ, და არა იმაზე, კაციტაძემ რა თქვა და ჟორჟოლიანმა ან ძიძიგურმა რა უპასუხა.

– საკონსტიტუციო სასამართლომ მოგიწოდათ, მაჟორიტარული ოლქების ახალი საზღვრები დაადგინოთ, რადგან ძველი სისტემა საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო. ჩაიწერა, რომ დაუშვებელია დისკრიმინაცია ამომრჩევლებს შორის და ხმის თანაბრობის პრინციპზე გაკეთდა მითითება. რა შეგიძლიათ გვითხრათ?

– პარლამენტის კომიტეტზე განხილული იყო კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს მაჟორიტარული ოლქების გათანაბრებას საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად. აღნიშნულ საკითხს პლენარულ სხდომაზე გავიტანთ.

ცხადია, სხვადასხვა მოსაზრებები გამოითქვა, მათ შორის საზღვრებთან დაკავშირებით. ჩვენ მზად ვართ, ყველა მოსაზრება განვიხილოთ და კონსენსუსის შედეგად მივიღოთ გადაწყვეტილება. ჩვენი სურვილი არის, გაუმჯობესება მოხდეს.

– საპარლამენტო ოპოზიცია, მაგალითად, მიხეილ მაჭავარიანი, აცხადებს, რომ ეს პერსონებზე იქნება მორგებული. რას უპასუხებთ?

– რა უნდა გიპასუხოთ ამაზე, რა პერსონები, რისი პერსონა, ვერ გავიგე.

– ეს ეჭვი გამოთქვა ოპოზიციამ, თქვენ რა არგუმენტი გაქვთ?

– რისი არგუმენტი უნდა მქონდეს?! საზღვრებს ვშლით გათანაბრების მიმართულებით, აქ რა არგუმენტებია საჭირო. ეს პერსონებზე როგორ იქნება მორგებული, ვერ გავიგე. საზღვრები ასეთი უნდა იყოს თუ სხვანაირი, ეს შეიძლება იკითხონ. თუ განსხვავებულად წარმოუდგენიათ მათ საზღვრები, მაშინ კონკრეტული წინადადება მოიტანონ და განვიხილოთ, მაგრამ პერსონებზე იქნება მორგებული, ეს სრული აბსურდი და გაუგებრობაა.

– თქვენ ფიქრობთ, ეს უფრო სამართლიანი იქნება?

– ეს გახლავთ ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს მოქალაქეთა თანასწორობას ქვეყნის მართვის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას. თუ ვინმე არის წინააღმდეგი, რომ მოქალაქეები თანასწორები უნდა იყვნენ და ვიღაცას უნდა ჰქონდეს მეტი გავლენა და ვიღაცას ნაკლები, მაშინ მან ეს ღიად უნდა თქვას. ჩვენ ვართ ამის წინააღმდეგი და ვიღებთ გადაწყვეტილებას, რომელიც უზრუნველყოფს პირველად, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, ყველა მოქალაქის თანასწორობას გადაწყვეტილების მიღებისას.

ამაზე დიდი არგუმენტი არა მგონია, სხვა რამე იყოს. როდესაც ოლქები გათანაბრდება, ყველა ხმა თანასწორი იქნება.

აკაკი მინაშვილი: „ვარდების რევოლუციის შედეგია ის, რომ ქვეყანა ვიზალიბერალიზაციას მიიღებს“

ნაციონალური მოძრაობის დეპუტატ აკაკი მინაშვილის თქმით, ევროპული ოჯახისკენ სვლა საქართველომ 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ დაიწყო და სწორედ ამის შედეგია ის, რომ დღეს ქვეყანა ვიზალიბერალიზაციას მიიღებს.

– საქართველოს ევროპული ამბიცია ქართველი ხალხის ათწლეულის მიზანი და მისიაა. ამ მიზნისთვის ბევრს უბრძოლია, მათ შორის, სისხლი დაღვრია. 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ, სწორედ დასავლეთ სამყაროსთან ინტეგრაცია, ევროპულ ოჯახში გაერთიანებაა ნაციონალური მოძრაობის მთავარი და ფუნდამენტური ხაზი. შესაბამისად, ყველა მოქმედება ამისკენ იყო მიმართული, რადგან ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რომ ევროპული ოჯახი, საქართველოს უსაფრთხოების, მოქალაქეების კეთილდღეობის გარანტიაა.

სწორედ ჩვენი პარტიის აქტიური მოქმედებით, 2009 წელს აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამა დაიწყო, რომლის ფარგლებშიც ჩვენ დღეს ვიზალიბერალიზაციას ვიღებთ. განცხადებები, რომ თითქოს ჩვენ გვინდა ამ პროცესს ხელი შევუშალოთ, მიუხედავად არსებული მდგომარეობისა, ტყუილია და ჩვენ ყველა ფორუმზე ვამბობთ, რომ საქართველომ რაც შეიძლება სწრაფად უნდა მიიღოს ვიზალიბერალიზაცია, – განაცხადა მინაშვილმა.

რაც შეეხება პარლამენტში ინიცირებულ დოკუმენტს, მინაშვილი გამოვიდა ერთი ფრაზის დამატების წინადადებით, რომ საქართველოს პარლამენტი მოუწოდებს საქართველოს მთავრობას, დაიცვას ადამიანის უფლებები, კანონის უზენაესობა და დემოკრატიის პრინციპები.

– რა არის ამაში გაუგებარი?! არა მგონია, ამ ფრაზამ ხელი შეუშალოს ვიზალიბერალიზაციას. პირიქით, ხელს შეუწყობს, – განაცხადა აკაკი მინაშვილმა.

ინტერპრესნიუსი

ალასანია საქართველო-გერმანია-რუსეთის დიალოგის ფორმატის შექმნის ინიციატივით გამოდის

თავისუფალი დემოკრატების ლიდერი ირაკლი ალასანია საქართველო-გერმანია-რუსეთის დიალოგის ფორმატის შექმნის ინიციატივით გამოდის.

ირაკლი ალასანია მიიჩნევს, რომ სწორედ გერმანიაა ის ქვეყანა, რომელსაც საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობების დარეგულირებაზე მუშაობა შეუძლია.

ირაკლი ალასანია:

– გერმანია არის პარტნიორი, რომელსაც შეუძლია, საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობების დარეგულირების პერსპექტივებზე კონკრეტული მუშაობა. ჩემი აზრით, უნდა არსებობდეს ეს სამკუთხედი – საქართველო-გერმანია-რუსეთი და შეიქმნას ფორმატი, რომელიც ნელ-ნელა დაიწყებს ყველაზე მწვავე პრობლემური საკითხების გადაწყვეტის გზებზე დიალოგს. თბილისი-ბერლინი-მოსკოვი არის მნიშვნელოვანი ფორმატი, რომელიც ჯერ კიდევ არ არის გამოყენებული და თავისუფალი დემოკრატები ვგეგმავთ, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ავამოქმედოთ ეს სივრცე.

მისივე ინფორმაციით, საგარეო საქმეთა მინისტრობის პერიოდში მაია ფანჯიკიძემ ამ მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯები გადადგა და გერმანიასთან ორმხრივი, მათ შორის, არაფორმალური შეხვედრებიც განხორციელდა. თუმცა ალასანიას ინფორმაციით, ამ კუთხით მუშაობა აღარ გაგრძელებულა.

ინტერპრესნიუსი

დავით კირვალიძე: „არც ერთ პარტიაში გაწევრიანებას არ ვგეგმავ“

– ამჟამად საერთაშორისო ორგანიზაციაში დირექტორთა საბჭოს წევრი ვარ და არც ერთ პარტიაში გაწევრიანებას არ ვგეგმავ. ირაკლი ალასანია ჩემი მეგობარია, მაგრამ მეგობრობა ერთია და პოლიტიკურ პარტიაში გაწევრიანება – სხვა, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ სოფლის მეურნეობის ყოფილმა მინისტრმა დავით კირვალიძემ განუცხადა.

თავისუფალი დემოკრატების ლიდერმა, ირაკლი ალასანიამ, „ინტერპრესნიუსთან“ ინტერვიუში განაცხადა, რომ დავით კირვალიძე მისი ახლო თანამოაზრეა და თავისუფალი დემოკრატები მასთან თანამშრომლობას აუცილებლად გააგრძელებენ.

– თავისუფალი დემოკრატების სოფლის მეურნეობის სტრატეგია, რომელიც შემდგომ კოალიცია „ქართული ოცნების“ სოფლის მეურნეობის სტრატეგიის საფუძველი გახდა, სწორედ დათოსთან ერთად იყო შემუშავებული. ახლა ის დამოუკიდებელი ექსპერტის როლშია, მაგრამ მე არ გამოვრიცხავ, ბუნებრივია, ჩვენ მეგობრები ვართ და გავაგრძელებთ თანამშრომლობას, იმიტომ, რომ ისეთი ხალხი, როგორიც დათოა, ჩვენს ქვეყანას და სოფლის მეურნეობის განვითარებას სჭირდება, – განაცხადა ალასანიამ იმ კითხვის პასუხად, ხომ არ შეიძლება, კირვალიძე თავისუფალი დემოკრატების რიგებში ვიხილოთ.

დეპუტატმა ვიქტორ დოლიძემ, თავის მხრივ აღნიშნა, რომ დავით კირვალიძე პროფესიონალია და მიესალმება, თუ იგი თავისუფალი დემოკრატების რიგებში გაწევრიანდება.

ინტერპრესნიუსი

სახელმწიფო აუდიტი პარტიების 12 შემომწირველს გამოკითხვაზე დაიბარებს

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პარტიების 12 შემომწირველ ფიზიკურ პირს გამოკითხვაზე დაიბარებს.

როგორც პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსმა, ზურაბ აზნაურაშვილმა განაცხადა, პოლიტიკური ძალების ანგარიშებზე განხორციელებულ 12 შემოწირულობასთან დაკავშირებით, რომლის ჯამური რაოდენობა 200 ათას ლარს შეადგენს, დამატებითი მონაცემების მოძიების აუცილებლობა გამოიკვეთა.

– ჯამში საეჭვოდ იქნა მიჩნეული და ინფორმაცია მოვიძიეთ 40-მდე შემომწირველის შესახებ. შემოსავლების სამსახურიდან მიღებული და სხვადასხვა ინფორმაციაზე დაყრდნობით, დამატებითი მონაცემების მოძიების აუცილებლობა გამოიკვეთა 12 შემომწირველთან დაკავშირებით. მონიტორინგის სამსახური მომავალ კვირაში გეგმავს აღნიშნული პირების გამოსაკითხად დაბარებას, რათა მათ წარმოადგინონ შემოწირულების წარმომავლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, – განაცხადა ზურაბ აზნაურაშვილმა.

ПОЛИТИКУРМА ПАРТИЕБМА მიმდინარე წლის განმავლობაში ჯამში 1.409.319 ლარის შემოწირულობა მიიღეს. აქედან ყველაზე მეტი შემოწირულობა – 536.355 ლარი, პარტია ქართულ ოცნება-დემოკრატიულ საქართველოზე მოდის.

მმართველი პარტიის მიერ მიღებული შემოწირულობიდან 526.000 ლარი ფულადი, 10 .095 ლარი კი არაფულადი შემოწირულობაა. 1 იანვრიდან დღემდე მიღებული შემოწირულების თვალსაზრისით პარტიებს შორის 279.710 ლარით მეორე ადგილზე თავისუფალი დემოკრატები, 260.240 ლარით მესამეზე ერთიანი ნაციონალური მოძრაობაა.

სხვა პოლიტიკური ძალების მიერ წლის განმავლობაში მიღებული შემოწირულობები ასე გამოიყურება:

პატრიოტთა ალიანსი – 171.170 ლარი, დევნილთა პარტია – 52.151 ლარი, თავისუფალი საქართველო – 34.546 ლარი, რესპუბლიკური პარტია – 29.368 ლარი (27.988 ლარი საწევრო გადასახადია), ქრისტიან-კონსერვატიული პარტია – 23.360 ლარი, ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტია – 14.120 ლარი, პარტია განახლებული საქართველოსთვის – 2.875 ლარი, კონსერვატიული პარტია – 1.320 ლარი, ხალხის პარტია – 1.135 ლარი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 1.107 ლარი, ქართული პარტია – 1.000 ლარი, ქართული დასი – 861 ლარი.

პარტიების მიერ ჯამურად მიღებული შემოწირულობიდან – 1.409.319 ლარიდან 1.341.031 ლარი ფულადი, 39.965 ლარი არაფულადი, 28.323 ლარი კი საწევროა.

ბიპიენი

გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უსაფრთხო, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

ზურაბ ტყემალაძე: „ბანკები სესხისთვის ბინებს არ უნდა ითხოვდნენ“

პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე ზურაბ ტყემალაძე საპოლიციო გამოსახლების გაუქმებას ემხრობა.

როგორც დეპუტატმა „კომერსანტთან“ განაცხადა, ბანკების წინააღმდეგობა ამ საკითხთან დაკავშირებით გასაგებია, რადგან მათ სურთ, რაც შეიძლება ნაკლებრისკიანი იყოს მათ მიერ გაცემული სესხები.

ტყემალაძის თქმით, რისკები თავად ბანკებმა უნდა შეაფასონ და შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღონ. კომიტეტის თავმჯდომარეს მიაჩნია, რომ მიკროსაფინანსოები და ბანკები არ უნდა იყვნენ ორიენტირებული იმაზე, რომ მსესხებელმა როგორმე ვერ შეასრულოს პირობები, ორგანიზაციას კი აღსრულების იოლი პროცედურა ჰქონდეს.

დეპუტატის თქმით, გასულ წლებში არსებული პრაქტიკა სესხის სანაცვლოდ ბინის ჩადებას არ ითვალისწინებდა. მისი განცხადებით, კარგი იქნება, თუ ამ გამოცდილებას დღევანდელი საფინანსო ინსტიტუტებიც გამოიყენებენ და მსესხებლებს სხვა უზრუნველყოფას მოსთხოვენ.

კითხვაზე, რა შეიძლება იყოს სხვა უზრუნველყოფა და რისი შესაძლებლობა აქვს ამ მიმართულებით საქართველოს მოსახლეობას, ტყემალაძე პასუხობს, რომ თუ ამაზე მიდგა, მაშინ არც ბინა აქვს ყველას.

– მარტო ბინა ხომ არ არის? სხვა შემოსავალი რომ არ ჰქონდეს ადამიანს და მარტო ბინა რომ ჰქონდეს, ბანკი არ მოგცემს სესხს. არ უნდა მოგცეს ბანკმა სესხი. კეთილსინდისიერი ბანკი სწორედ ასე იქცევა, რადგან ის ხედავს, რომ ის ვალს ვერ გაისტუმრებს და არ უნდა ჩააყენოს კლიენტი ასეთ ცუდ სიტუაციაში, – ამბობს ზურაბ ტყემალაძე.

◆ ◆ ◆

საპოლიციო გამოსახლების კანონპროექტი, რომელიც ერთი მოსმენით უკვე მიღებულია, ბიზნეს და ექსპერტულ წრეებში კვლავ აქტიური დისკუსიის თემად რჩება. ოპონენტები ამტკიცებენ, რომ საპოლიციო გამოსახლების გაუქმება საბანკო სფეროში საპროცენტო განაკვეთების ზრდას და სესხის გაცემის გართულებას გამოიწვევს, უძრავი ქონების ბაზრის წარმომადგენლები კი დარწმუნებულნი არიან, რომ ცვლილება გაქირავება-დაგირავების სფეროში პრობლემებს შექმნის.

თუმცა, კანონპროექტის მომხრეები ამტკიცებენ, რომ გამოსახლების გადაწყვეტილების უფლების სასამართლოსთვის მიკუთვნება ბანკსა და კლიენტს შორის ურთიერთობას უფრო ცივილურს გახდის, ბანკი მხოლოდ გირაოზე არ იქნება ორიენტირებული, უფრო პასუხისმგებლობით მიუდგება სესხების გაცემას, იძულებული გახდება, მეტად მოერგოს მსესხებლის ინტერესს და კრედიტის რესტრუქტურიზაციის პროცესი მისთვის მეტად ხელსაყრელი გახადოს.

კანონპროექტს ეწინააღმდეგება საქართველოს ბიზნესასოციაცია. ეს საკითხი მათ ბიზნესომბუდსმენ გიორგი გახარიასთან შეხვედრაზეც განიხილეს.

ბიზნესასოციაციის ხელმძღვანელის გიორგი ჭირაქაძის განცხადებით, ეს საკითხები ძალიან აწუხებს საბანკო სექტორს, მათი მხრიდან ხშირად დაფიქსირებულა, თუ რას გამოიწვევს ეს.

– ჩემი აზრით, გამოიწვევს იმას, რომ ძალიან ბევრი კომპანია, რომელიც დეველოპმენტით არის დაკავებული ქვეყანაში და მათ შორის ბანკებიც, დაფიქრდებიან, თუ რამდენად შეიძლება ამ მიმართულებით წავიდნენ და რა რისკები დაუდგებათ. ჩვენ ვცდილობთ, ეს ხელისუფლებას დავანახოთ და არ გვინდა, ჩვენ ვიყოთ ერთი მხარე და ხელისუფლება იყოს მეორე მხარე. მნიშვნელოვანია, ყველამ გავაანალიზოთ რისკები და გადაწყვეტილება შემდგომ იყოს მიღებული, – განაცხადა ჭირაქაძემ.

საღომე მეცხვარიშვილი, კომერსანტ.გე

საერთაშორისო სავალუტო ფონდი ეროვნულ ბანკს მხარს უჭერს

– მნიშვნელოვანია, რომ საბანკო ზედამხედველობის ფუნქცია დარჩეს დამოუკიდებელი პოლიტიკური და დარგობრივი ჩარევებისგან და მაღალი ხარისხით განხორციელდეს, – ნათქვამია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

როგორც საერთაშორისო სავალუტო ფონდში აცხადებენ, მისია მარკ გრიფითსის ხელმძღვანელობით, სსფ-ის სარეზერვო დაფინანსების პროგრამის მეორე და მესამე მიმოხილვის ფორმატში დისკუსიების გასამართად თბილისში 9-21 ნოემბერს იმყოფებოდა.

როგორც მარკ გრიფითსი აცხადებს, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია საქართველოს ეროვნული ბანკის პოლიტიკას ცალსახად უჭერს მხარს, რომელიც ლარის მცურავ რეჟიმში შენარჩუნებას და სავალუტო ინტერვენციების მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, განსაკუთრებული სავალუტო რყევების დროს გამოყენებას გულისხმობს.

– სავარაუდოდ, გრძელვადიანი საგარეო შოკებისას ინტერვენციები წარუმატებელი იქნებოდა და მხოლოდ სავალუტო რეზერვების განიავებას გამოიწვევდა. გაცვლითი კურსის გაუფასურებამ საგარეო შოკები შეარბილა იმპორტის შემცირების, ადგილობრივი მწარმოებლების კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებისა და ფულადი გზავნილების ღირებულების დაცვის სახით, – აცხადებს გრიფითსი.

მისი აზრით, საქართველოს ეროვნული ბანკის მთავარი ამოცანა ფასების სტაბილურობაა, რაც მცურავ გაცვლით კურსს მოითხოვს.

– იმისთვის, რომ შეძლოს ამ მიზნის მიღწევა და ფინანსური სტაბილურობის დაცვა, საქართველოს ეროვნულ ბანკს სრული საოპერაციო დამოუკიდებლობა უნდა ჰქონდეს. ხელისუფლება საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინებას ელოდება კანონზე, რომელიც საქართველოს ეროვნული ბანკისგან საბანკო ზედამხედველობას მიჯნავს. მნიშვნელოვანია, რომ ეს ფუნქცია დარჩეს დამოუკიდებელი პოლიტიკური და დარგობრივი ჩარევებისგან და მაღალი ხარისხით განხორციელდეს, – აღნიშნავს გრიფითსი.

მისივე თქმით, მომდევნო კვირების განმავლობაში მისია ხელისუფლებასთან განზრახულობათა წერილის დასასრულებლად იმუშავებს.

– ეს მოითხოვს შეთანხმებას საბანკო ზედამხედველობის დამოუკიდებლობის შენარჩუნების სტრატეგიაზე, სავალუტო რეზერვების საკმარისი დონის უზრუნველყოფაზე, სახელმწიფო ვალდებულებების მართვისა და განსაჯაროების ფორმატის გაუმჯობესებაზე, ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისთვის სტრუქტურულ რეფორმებზე. ამ დასკვნითი განხილვების წარმატებით დასრულების შემთხვევაში, სსფს მიმდინარე პროგრამის მეორე და მესამე მიმოხილვა 2016 წლის დასაწყისში დასრულდება, – აცხადებს გრიფითსი.

მისია მადლობას უხდის საქართველოს პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს, მთავრობის სხვა წევრებსა და ქვეყნის ეროვნულ ბანკს ღია და კონსტრუქციული დისკუსიებისთვის.

ბიპიენი

კალაძე მილერს ლუქსემბურგში შეხვდა

გაზპრომი და ირანი სომხეთში გაზის მიწოდების მიზნით გაცვლითი ოპერაციების საკითხზე მუშაობენ.

ამის შესახებ გაზპრომის ხელმძღვანელმა ალექსეი მილერმა საქართველოს ვიცე-პრემიერთან, ენერგეტიკის მინისტრ კახა კალაძესთან შეხვედრის შეჯამებისას განაცხადა.

– დიახ, ამ თემას შევეხეთ. ამ დროისთვის ჩვენ ჩვენს ირანელ კოლეგებთან გაცვლითი ოპერაციების საკითხებს ვამუშავებთ, – განაცხადა მილერმა იმ კითხვის საპასუხოდ, განიხილეს თუ არა ირანიდან, საქართველოს ტერიტორიის გავლით, სომხეთისთვის გაზის მიწოდების საკითხი.

კახა კალაძისა და ალექსეი მილერის მორიგი შეხვედრა 8 დეკემბერს ლუქსემბურგში გაიმართა. მხარეებმა გაზის ტრანზიტისა და კომერციულ მიწოდებასთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს.

მათ საქართველოს ტერიტორიაზე რუსული გაზის ტრანზიტსა და კომერციულ მიწოდებებზე მსჯელობა გააგრძელეს.

არსებული ტრანზიტის მომსახურების ხელშეკრულების გაგრძელებისა და სხვა ტექნიკური ხასიათის საკითხებზე, აგრეთვე, ბუნებრივი აირის დამატებითი მოცულობების მოწოდების შესაძლებლობასა და პირობებზე საქართველოსა და გაზპრომს შორის მოლაპარაკება დეკემბრის ბოლოს უნდა დასრულდეს.

ბიპიენი

ლიბერთი ბანკსა და პროკრედიტ ბანკს შორის ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება გაფორმდა

სასიამოვნო სიახლე სს ლიბერთი ბანკისა და სს პროკრედიტ ბანკის მომხმარებლებისთვის: 2015 წლის 9 დეკემბერს, სს პროკრედიტ ბანკის სათავო ოფისში ორ ბანკს შორის ურთიერთთანამშრომლობის აქტს მოეწერა ხელი, რომლიც მიხედვითაც ორი ბანკი ერთმანეთს ე.წ. „Host to host“ კავშირით დაუკავშირდა. აღნიშნული პროექტის ფარგლებში პლასტიკური ბარათის მფლობელები ლიბერთი ბანკისა და პროკრედიტ ბანკის ბანკომატებიდან თანხის განაღდებას შეღავათიანი ტარიფებით შეძლებენ.

სს ლიბერთი ბანკისა და სს პროკრედიტ ბანკის ბანკომატების ჯამური რაოდენობა 500-ზე მეტია და შესაბამისად მომხმარებლებისთვის თანხის განაღდება კიდევ უფრო ხელმისაწვდომი გახდება.

პროკრედიტ ბანკის VISA/Master Card და VISA Business ბარათების მფლობელები თანხის განაღდებას ლიბერთი ბანკის ბანკომატებში პროკრედიტის ბანკში მოქმედი ტარიფით შეძლებენ, ხოლო ლიბერთი ბანკის მომხმარებლები კი პროკრედიტ ბანკის პოს ტერმინალებში VISA/Master Card ბარათის გარდა ანგარიშსწორებას ახლა უკვე PAY/UPI სისტემის ბარათებითაც შეძლებენ. PAY არის ლიბერთი ბანკის ადგილობრივი საგადამხდელო სისტემა, რომლის პლატფორმაზეც შექმნილია 1.6 მილიონზე მეტი ბარათი.

„მოხარული ვართ, რომ პროკრედიტ ბანკსა და ლიბერთი ბანკს შორის მომხმარებლებისთვის სასიამოვნო თანამშრომლობა შედგა. დღეიდან, ორივე ბანკის კლიენტები თანხის განაღდებას კიდევ უფრო მეტი ბანკომატიდან შეძლებენ და ამასთან ტარიფი რჩება უცვლელი“, – აღნიშნა პროკრედიტ ბანკის დირექტორმა **ალექსი მატუამ.**

– ლიბერთი ბანკმა უკვე მესამე კომერციულ ბანკთან გააფორმა ცოსტ ტო ცოსტ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მომხმარებელს აქვს თანხის განაღდების და ბარათით გადახდის კიდევ უფრო ხელსაყრელი პირობები და მრავალფეროვანი არჩევანი, – აღნიშნა **დავით ნინიძემ**, ლიბერთი ბანკის ალტერნატიული საბანკო არხების მენეჯერმა.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 33 %-ით შემცირდა

წინასწარი მონაცემებით, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 2015 წლის მე-3 კვარტალში საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 33%-ით შემცირდა, ხოლო მიმდინარე წლის მე-2 კვარტლის მონაცემებს 38%-ით აღემატება.

სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა 2015 წლის მესამე კვარტალში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესახებ წინასწარი ინფორმაცია გამოაქვეყნა, რომლის თანახმადაც, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2015 წლის მე-3 კვარტალში 489 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2014 წლის მე-3 კვარტალის დაზუსტებულ მონაცემებზე 33 %-ით ნაკლებია, ხოლო მიმდინარე წლის II კვარტალის წინასწარ მონაცემებს 38%-ით აღემატება.

2015 წლის სამი კვარტალის განმავლობაში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ჯამურმა მოცულობამ 1.019 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 17%-ით ნაკლებია. 2015 წლის III კვარტალში საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემომავალმა ნაკადებმა 650 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

2015 წლის მე-3 კვარტალში საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნებიდან პირველ ადგილზე აზერბაიჯანი იმყოფება 35 პროცენტით, მეორეზეა ნიდერლანდები 11 პროცენტით, ხოლო მესამეზე – თურქეთი 9 პროცენტით.

სამი უმსხვილესი სექტორის წილმა (განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით) 2015 წლის მე-3 კვარტალში 72 პროცენტი შეადგინა.

ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორში განხორციელდა და 218 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 45 პროცენტია.

მეორე ადგილზე იმყოფება საფინანსო სექტორი 73 მლნ აშშ დოლარით, ხოლო მესამეზე – მშენებლობა 63 მლნ აშშ დოლარით.

ბიპიენი

დიმიტრი ქუმსიშვილი სამუშაო ვიზიტით ჩინეთს ეწვია

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი სამუშაო ვიზიტით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას ეწვია.

ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, ვიზიტის ფარგლებში დიმიტრი ქუმსიშვილი მონაწილეობას მიიღებს საქართველო-ჩინეთის მთავრობათაშორისი კომისიის სხდომაში და ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების საკითხზე მოლაპარაკების დაწყების შესახებ მემორანდუმს მოაწერს ხელს.

ასევე, დაგეგმილია შეხვედრები ჩინეთის ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასა და აბრეშუმის გზის ფონდში.

გარდა ამისა, მინისტრი ჩინეთის ბიზნეს-წრეების წარმომადგენლებთან გამართავს შეხვედრებს.

ნიუსპრესი